



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030495241429616

04-528/ო

18 / ოქტომბერი / 2016 წ.

„დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობისათვის გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის N333 დადგენილებით დამტკიცებული „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე:

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს:

- ა) „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტის მოსარგებლედ რეგისტრირების მსურველი პირის განაცხადის ფორმა (დანართი N1);
- ბ) „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტის მიმწოდებლად რეგისტრირების მსურველი პირის განაცხადის ფორმა (დანართი N2);
- გ) „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულების ნიმუში (დანართი N3) და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმა (დანართი N1);
- დ) „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ვაუჩერი (დანართი N4);
- ე) მომსახურების მიღების პრობებზე პროგრამის რეგისტრირებულ მოსარგებლესა და სააგენტოს შორის შეთანხმების ფორმა (დანართი N5);

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ხელშეკრულების ნიმუში არ წარმოადგენს სავალდებულო ხასიათის ფორმას და კონკრეტული სიტუაციის და/ან ხელმოწერი მხარის მოთხოვნით შესაძლებელია მასში ცვლილებ(ებ)ის და/ან დამატებ(ებ)ის ასახვა/შეტანა, თუ ეს ცვლილებ(ებ)ი და/ან დამატებ(ებ)ი შეესაბამება

საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და არ ეწინააღმდეგება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს.

3. დაევალოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტს: (მ. ბეზარაშვილი)

ა) კოორდინაცია გაუწიოს სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების საქმიანობას ამ ბრძანებით დამტკიცებული ღონისძიებების განხორციელებაში;

ბ) წარმოადგინოს ბრძანების პროექტი „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის" სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტის მიმდინარეობის ინსპექტირების ჯგუფის შემადგენლობის და აუცილებლობის შემთხვევაში, პროგრამის ადმინისტრირებისათვის საჭირო დამატებითი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ;

გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის წარსადგენად, პროგრამის განხორციელების შესახებ შუალედური და საბოლოო ანგარიშების მომზადება;

დ) პროგრამით სააგენტოსათვის განსაზღვრული სხვა მოთხოვნების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

4. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების უფროსებს და/ან მათ მოადგილეებს, ხოლო ქალაქ თბილისის მასშტაბით სერვის-ცენტრის უფლებამოსილ პირებს მიენიჭოთ უფლებამოსილება, სააგენტოს სახელით ხელი მოაწერონ ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს (ვაუჩერი, მიმწოდებელთან ხელშეკრულება, შეთანხმება).

5. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს, ამ ბრძანების დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით („დეს“) სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გაგზავნა.

6. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს, საჯარო გაცნობის მიზნით, ამ ბრძანების სააგენტოს ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)) განთავსება.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე



სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო -----

(ტერიტორიული ერთეულის დასახელება)

„დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტის მოსარგებლედ რეგისტრირების მსურველი პირის

**გ ა ნ ა ც ხ ა დ ი**

მოსარგებლედ რეგისტრირების მსურველი პირის სახელი და გვარი	პირადი ნომერი:

ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი (ქალაქი/მუნიციპალიტეტი)

ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი ქუჩა, კორპუსი/სახლი, ბინა

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

ელექტრონული ფოსტა

საბანკო რეკვიზიტები (ივსება მხოლოდ სტაჟირების შემთხვევაში)	
საბანკო დაწესებულების დასახელება:	ბანკის კოდი:
ანგარიშის ნომერი:	

**განაცხადს თან ერთვის:**

1. რეგისტრირების მსურველი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი)
2. (საშუალო/პროფესიული/უმალლესი) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატის/დიპლომის ასლი)
3. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი)
4. დასკვნა სსსმ დადასტურების თაობაზე გაცემული საქართველოს განათლ. და მეცნიერების სამინისტროს მიერ (ასლი)

**ხელმოწერით ვადასტურებ:**

- განაცხადში მითითებული ინფორმაციის ნამდვილობას;
- წარმოდგენილი დანართების შესაბამისობას განაცხადში მითითებულ ინფორმაციასთან;
- პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სისწორეზე.
- თანხმობას, ჩემს შესახებ ინფორმაცია დამუშავებულ იქნეს, მათ შორის, მესამე პირს გადაეცეს, მხოლოდ „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ მიზნებისათვის.

მოსარგებლის ხელმოწერა -----

სააგენტოს თანამშრომელი, პოზიცია

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

---

სააგენტოს თანამშრომლის ხელმოწერა



„დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ სამუშაო  
ადგილების სუბსიდირების კომპონენტის მიმწოდებლად რეგისტრირების მსურველი პირის  
გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

სააგენტოს სამხარეო ცენტრი/რაიონული განყოფილება-----

**მიმწოდებლის რეკვიზიტები**

მითითებული მონაცემები გამოყენებული იქნება პროგრამის ფარგლებში  
ოფიციალური ურთიერთობებისათვის

**დაწესებულების სრული დასახელება**

**საიდენტიფიკაციო კოდი:**

□	□	□	□	□	□	□	□	□	□
---	---	---	---	---	---	---	---	---	---

**იურიდიული მისამართი**

ქალაქი/მუნიციპალიტეტი:

მისამართი:

**ფაქტობრივი (მომსახურების მიწოდების)  
მისამართი**

ქალაქი/მუნიციპალიტეტი:

მისამართი:

**საკონტაქტო ტელეფონის ნომრები**

**ელექტრონული ფოსტა**

**ორგანიზაციის ხელმძღვანელი**

სახელი, გვარი:

პირადი ნომერი

□	□	□	□	□	□	□	□	□	□
---	---	---	---	---	---	---	---	---	---

პირადი ტელეფონის ნომერი (მობილური)

პირადი ელექტრონული ფოსტა

პროგრამის მიმწოდებლად რეგისტრირების მსურველი პირის მიერ წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

1. მიმწოდებლად რეგისტრირების მსურველი პირის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან
2. რეგისტრირების მსურველი პირის/სათანადო წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. სუბსიდირებისთვის განკუთვნილი ვაკანსიების ნუსხა, რომლის მიწოდებლად რეგისტრაციაც სურს ორგანიზაციას.

ვადასტურებ განაცხადებაში დაფიქსირებული მონაცემების სისწორეს, წარმოდგენილი დანართების შესაბამისობას განაცხადებაში მითითებულ ინფორმაციასთან, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი მომსახურების მიწოდების სურვილს და გამოეთქვამ მზადყოფნას, შევასრულო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, აღნიშნული სახელმწიფო პროგრამით და სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს ინდივიდუალურ – სამართლებრივი აქტ(ებ)ით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულებები. სრულად ვიცნობ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების პირობებს, ვაკმაყოფილებ შესაბამისი საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ვიღებ პასუხისმგებლობას, როგორც მიმწოდებელი, პროგრამით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებაზე, რასაც გავეცანი და ორგანიზაციის სახელით, ვადასტურებ განაცხადზე ხელმოწერით.

ხელმოწერა

ბ.ა

(არსებობის შემთხვევაში)

\_\_\_\_\_

--	--	--	--	--	--	--	--

განაცხადების მიმღები, სააგენტოს თანამშრომელი, პოზიცია

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

ხელმოწერა-----

**“დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულება N**

ქ. თბილისი

----- 2016წ.

**1. ხელშეკრულების მხარეები**

1.1. ერთი მხრივ, „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ განმახორციელებელი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს,

*ტერიტორიული ერთეულის დასახელება*

(შემდგომში სააგენტო), წარმოდგენილი

*უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი*

სახით და მეორე მხრივ,

*მიმწოდებლის დასახელება*

(შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი

*უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი*

სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების საგანია: საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის N333 დადგენილებით დამტკიცებული „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში - პროგრამა) ფარგლებში, სააგენტოდან გაგზავნილი შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა (შემდეგში: სამუშაოს მაძიებელი ან ბენეფიციარი) პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება.

**3. მომსახურების მახასიათებლები**

3.1. გასაწევი მომსახურების აღწერილობა: პროფესიები და/ან პოზიციები, პოზიციებისთვის გათვალისწინებული შრომის ანაზღაურება, სუბსიდირების ვადა, სამუშაოს მაძიებლების რაოდენობა და მოთხოვნილი უნარები, კვალიფიკაცია და მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად.

3.2. ხელშეკრულების დანართი N1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**4. მომსახურების გაწევის პირობები**

4.1. მომსახურება ხორციელდება მიმწოდებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

4.2. სააგენტო უზრუნველყოფს სამუშაოს მაძიებლის სუბსიდირებას, წარმოდგენილი ვაუჩერის საფუძველზე, 50%-იანი დაფინანსებით, არაუმეტეს 460 ლარისა.

4.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სუბსიდირება განხორციელდება, თუ:

4.3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების კონტროლის მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის შეფასებით მიმწოდებელი კეთილსინდისიერად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

4.3.2. მიმწოდებელი, სამუშაოს მაძიებელთან აფორმებს შრომითი ხელშეკრულებას, სუბსიდირების მთელი პერიოდის განმავლობაში.

4.4. სუბსიდირების მისაღებად სამუშაოს მაძიებელი წარუდგენს ვაუჩერს პროგრამის მიმწოდებელს, ყოველი თვის არა უგვიანეს 15 რიცხვისა. მიმწოდებელი ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებულ ვაუჩერს აგზავნის სააგენტოში სუბსიდირების დაფინანსებისთვის არა უგვიანეს ყოველი თვის 20 რიცხვისა. ამასთან, ამ ვადების დარღვევით წარდგენილი ვაუჩერი არ ანაზღაურდება.

4.5. მომსახურების მიწოდების მაქსიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება მიმწოდებელთან შეთანხმებით და იგი არ აღემატება პროგრამით გათვალისწინებულ ვადას.

## **5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს ანგარიშისა და ხელშეკრულების პირობების კონტროლის მიზნით შექმნილი პროგრამის სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტის მიმდინარეობის ინსპექტირების ჯგუფის ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი 3 (სამ) ეგზემპლარად. რომელთანავე ერთი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო ორი სააგენტოში.

## **6. ანგარიშსწორება**

6.1. სამუშაოს მაძიებელთან სუბსიდირების ანგარიშსწორების პირობები მოცემულია სამუშაოს მაძიებელსა და სააგენტოს შორის გაფორმებული შეთანხმებაში.

## **7. მხარეთა ვალდებულებები**

### **7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

7.1.1. უზრუნველყოს სამუშაოს მაძიებლებისთვის მომსახურების მიწოდება;

7.1.2. უზრუნველყოს სააგენტოს მიერ წარდგენილი სამუშაოს მაძიებლების შერჩევა წარდგენიდან 10 სამუშაო დღეში და შერჩეულ კანდიდატ(ებ)თან შრომითი ხელშეკრულების (მათ შორის გამოსაცდელი ვადით) გაფორმება;

7.1.3. უზრუნველყოს შერჩეულ სამუშაოს მაძიებელთა შესახებ სააგენტოსათვის წერილობითი ინფორმაციის მიწოდება, შერჩევის განხორციელებიდან 5 კალენდარულ დღეში;

7.1.4. ბენეფიციარის მხრიდან საპატიო და/ან არასაპატიო მიზეზით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე წერილობით აცნობოს სააგენტოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა;

7.1.5. მიმწოდებლის ინიციატივით სამუშაოს მაძიებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების სააგენტოსთან შეუთანხმებლად, შეწყვეტის შემთხვევაში, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობოს სააგენტოს აღნიშნულის თაობაზე;

7.1.6. სააგენტოს წარუდგინოს ანგარიშ(ებ)ი მომსახურების მიწოდების თაობაზე;

7.1.7. შესრულოს პროგრამის ადმინისტრირების მიზნით სააგენტოს მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

7.1.8. აცნობოს სააგენტოს ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების ან ხელშეკრულების შეწყვეტის გამომწვევი სხვა გარემოების შესახებ, ასეთი გარემოების წარმოშობიდან 5 კალენდარული დღის ვადაში;

7.1.9. დაექვემდებაროს პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულების შესრულების მეთვალყურეობისა და ინსპექტირების წესებსა და პროცედურებს, მიაწოდოს სააგენტოს ამისათვის საჭირო ინფორმაცია და ხელი შეუწყოს ამ პროცედურების განხორციელებას.

### **7.2. „სააგენტო“ ვალდებულია:**

7.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ვაკანსიის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად სამუშაოს მაძიებლების შერჩევა ხელშეკრულების დანართი NI-ის შესაბამისად და ინფორმაციის მიმწოდებლისთვის მიწოდება;

7.2.2. მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების მიწოდების პერიოდში უზრუნველყოს სამუშაოს მაძიებლების სუბსიდირება, პროგრამით გათვალისწინებული პირობებით;

7.2.3. გააცნოს მიმწოდებელს პროგრამის ადმინისტრირების მიზნით მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტ(ებ)ი. გაცნობად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტ(ებ)ის სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge)) გამოქვეყნება.

## **8. მხარეთა უფლებები**

### **8.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:**

8.1.1. სამუშაოს მაძიებლის გაგზავნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, უარი თქვას მისთვის მომსახურების მიწოდებაზე;

8.1.2. წერილობითი განცხადებით მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, თუკი განცხადების წარდგენის დროისთვის სრულად აქვს მიწოდებული მომსახურება;

8.1.3. სამუშაოს მაძიებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, სააგენტოსთვის დასაბუთებული წერილობით მიმართვის გაგზავნის შემდეგ, შეწყვიტოს მასთან შრომითი ურთიერთობა კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით.

### **8.2. სააგენტოს უფლება აქვს:**



8.2.1. ვადამდე შეწყვიტოს მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება, თუ:

ა) მიმწოდებელი არ ასრულებს ან უარს ამბობს, დაექვემდებაროს პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ინსპექტირების წესებსა და პროცედურებს;

ბ) სააგენტოსთვის ცნობილი გახდა:

ბ.ა) მიმწოდებლის ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე;

ბ.ბ) მიმწოდებლის გადახდისუნარიანობის საქმისწარმოების დაწყების თაობაზე;

ბ.გ) პილოტირებით გათვალისწინებული სამუშაოს არადაამაკმაყოფილებლად შესრულების ან სხვა დარღვევების თაობაზე, რაც დასტურდება ინსპექტირების შედეგებით;

ბ.დ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში;

8.2.2. მომსახურების მიწოდების დაწყებიდან 10 სამუშაო დღეში, მიმწოდებლის წერილობით მომართვის საფუძველზე, ჩაანაცვლოს სამუშაოს მამიებელი, თუ მომართვის დროისთვის, პროგრამის დასრულებამდე დარჩენილია ერთ თვეზე მეტი;

8.2.3. უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მეთვალყურეობა.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

9.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუალაზრებელი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სააგენტოსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს სააგენტო არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. სააგენტოში მიმდინარე სტრუქტურული ან სხვა ცვლილებების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს მომსახურების შეწყვეტა (სრული ან არასრული მოცულობით), და შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტა ვადაზე ადრე ან შეთანხმების გაფორმება.

## 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. სააგენტომ და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

11.2. თუ სააგენტო და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ

დაუყოვნებლივ უნდა გაუზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის ცვლილების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

### **13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

13.1. ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1.5 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო სააგენტოს მიერ სუბსიდირების მთელი პერიოდის განმავლობაში კონკრეტული სამუშაოს მამიებლისათვის ჯამურად გადახდილი (ანაზღაურებული) სუბსიდირების თანხ(ებ)ის 0.5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცვლილებულ კალენდარულ დღეზე.

13.2. საჯარო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### **14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

14.1. სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი ნებისმიერ დროს.

### **15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

15.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადაა 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### **16. დასკვნითი პირობები**

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის პროგრამით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები სხვაგვარად რეგულირდება პროგრამით, მხარეები ვთანხმდებიან, რომ ვიხელმძღვანელებთ პროგრამით გათვალისწინებული დებულებებით. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებიან, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

16.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის ([info@ssa.gov.ge](mailto:info@ssa.gov.ge)) მეშვეობით.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (6 გვერდზე) და თითოეულ მათგანს გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

16.4. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“ ხოლო ორი – „სააგენტოსთან“.

სუბსიდირებისთვის განკუთვნილი პოზიციების (ვაკანსიების) ნუსხა

N	პოზიცია (ვაკანსია)	პოზიციის (ვაკანსიის) რაოდენობა	პოზიციისთვის (ვაკანსიის) გათვალისწინებული შრომის ანაზღაურება	სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა	სუბსიდირების ვადა	სამუშაოს მაძიებელთა პროფესია	სამუშაოს მაძიებელთა სქესი	სამუშაოს მაძიებელთა ასაკი	დამატებითი უნარები		
									კომპიუტ. უნარები	უცხო ენები	სხვა
1											
2											
3											
4											
5											

მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირი:

სახელი, გვარი -----

თანამდებობა -----

ხელმოწერა -----

ბ.ა

თარიღი: “-----“-----2016 წ.



# დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამა



საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამსახური

პაქეტი N \_\_\_\_\_

მოსარგებლის სახელი: \_\_\_\_\_ სახსიდიო ხორციელდება: \_\_\_\_\_ პროფესიაში:

მოსარგებლის გვარი: \_\_\_\_\_ სახსიდიის ხანგრძლივობა: \_\_\_\_\_ თვე.

პირადი ნომერი: \_\_\_\_\_ პაქეტის წარღვების ბოლო ვადა: \*\_\_\_\*/\_\_\_\*/201\_\_წ.

მიმწოდებლის დასახლება: \_\_\_\_\_

მიმწოდებლის ს/პოდი: \_\_\_\_\_

მიმწოდებლის მისამართი: \_\_\_\_\_ ტელ.: \_\_\_\_\_

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა: \_\_\_\_\_  
(საპასუხილოდ მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის უფროსი)

პაქეტის გაცემის თარიღი: \*\_\_\_\*/\_\_\_\*/201\_\_წ. ბ. ა.

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო - ვებ-გვერდი: [WWW.SSA.GOV.GE](http://WWW.SSA.GOV.GE)

სახსიდირების 8-4 თვე

მოსარგებლის სახელი, გვარი: \_\_\_\_\_ პირადი ნომერი: \_\_\_\_\_

მიმწოდებლის დასახლება: \_\_\_\_\_

მიმწოდებლის ს/პოდი: \_\_\_\_\_

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

გვსაგის თარიღი: \*\_\_\_\*/\_\_\_\*/201\_\_წ. ბ. ა.

სახსიდირების 8-3 თვე

მოსარგებლის სახელი, გვარი: \_\_\_\_\_ პირადი ნომერი: \_\_\_\_\_

მიმწოდებლის დასახლება: \_\_\_\_\_

მიმწოდებლის ს/პოდი: \_\_\_\_\_

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

გვსაგის თარიღი: \*\_\_\_\*/\_\_\_\*/201\_\_წ. ბ. ა.

სახსიდირების 8-2 თვე

მოსარგებლის სახელი, გვარი: \_\_\_\_\_ პირადი ნომერი: \_\_\_\_\_

მიმწოდებლის დასახლება: \_\_\_\_\_

მიმწოდებლის ს/პოდი: \_\_\_\_\_

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

გვსაგის თარიღი: \*\_\_\_\*/\_\_\_\*/201\_\_წ. ბ. ა.

სახსიდირების 1-ლი თვე

მოსარგებლის სახელი, გვარი: \_\_\_\_\_ პირადი ნომერი: \_\_\_\_\_

მიმწოდებლის დასახლება: \_\_\_\_\_

მიმწოდებლის ს/პოდი: \_\_\_\_\_

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

გვსაგის თარიღი: \*\_\_\_\*/\_\_\_\*/201\_\_წ. ბ. ა.

**შეთანხმება მომსახურების მიღების პირობებზე**  
 პროგრამის რეგისტრირებულ მოსარგებლეს და სააგენტოს შორის

**შეთანხმების უნიკალური ნომერი**

--	--	--	--	--	--	--	--	--	--

ინომრება ხელით: პირველი ორი ციფრი სოციალური პროგრამის რეგიონის კოდი, მომდევნო ორი ციფრი სოციალური პროგრამის მუნიციპალიტეტის კოდი, ბოლო ოთხი ციფრი მოსარგებლის რიგითი ნომერი.

**მოსარგებლის სახელი და გვარი** -----

**მოსარგებლის პირადი ნომერი**

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

**შეთანხმების ხელმოწერის თარიღი** ----- **2016 წელი**

**!!! გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ პროგრამით სარგებლობის პირობებს. პროგრამის ფარგლებში მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ შეთანხმების ორმხრივად ხელმოწერის შემდეგ.**

**მუხლი 1. პროგრამის ზოგადი პირობები**

1. წინამდებარე შეთანხმება გაფორმებულია „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში-პროგრამა) ფარგლებში, რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელსა (შემდგომში-მოსარგებლე) და პროგრამის განმახორციელებელს - სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის, მოიცავს პროგრამით სარგებლობის ძირითად პირობებს და ადასტურებს მოსარგებლის თანხმობას პროგრამით და ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ პირობებზე, მათ შორის, ინფორმირებულობას მოსარგებლის/განმახორციელებლის უფლებებსა და ვალდებულებებზე.
2. პროგრამით დადგენილი ვადების დაცვით, გათვალისწინებულია:
  - ა) დამსაქმებლებთან შეთანხმებით, თავისუფალ სამუშაო ადგილებზე რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება/სწავლება და ამ მიზნით სამუშაო ადგილების სუბსიდირება;
3. პროგრამის მიმწოდებელია სააგენტოში სათანადო წესით რეგისტრირებული, კერძო სამართლის იურიდიული პირი დამსაქმებელი.
4. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღება შეუძლიათ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში – [www.worknet.gov.ge](http://www.worknet.gov.ge) - რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სამუშაოს მაძიებლებს;
6. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღება შესაძლებელია, მხოლოდ დამსაქმებელთან შეთანხმებით, თავისუფალი სამუშაო ადგილის არსებობის პირობებში.
7. პროგრამით ანაზღაურდება ერთი მოსარგებლისთვის გაწეული მხოლოდ ერთი მომსახურება.

**მუხლი 2. სააგენტოს უფლებამოსილება**

**1. სააგენტო უფლებამოსილია:**

- ა) პროგრამის მიზნებისათვის დაამუშავოს მოსარგებლის პერსონალური ინფორმაცია, განიხილოს პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის სამიზნე ჯგუფთან შესაბამისობა, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს პირის შესახებ ინფორმაციის გადამოწმებას მის ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზებთან;
- ბ) პროგრამით სარგებლობის მსურველ პირს მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებებისა და მიმწოდებლების შესახებ;
- გ) მიიღოს გადაწყვეტილება პირის პროგრამის მოსარგებლედ რეგისტრაციის შესახებ;
- დ) მეთვალყურეობისა და ინსპექტირების დადგენილი წესის შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილება მოსარგებლისათვის მომსახურების მიწოდების შეწყვეტის შესახებ;

ე) მოსარგებლის მიერ საპატიო<sup>1</sup> მიზეზით მომსახურების მიღების შეწყვეტის შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება მომსახურების მიწოდების გაგრძელების შესახებ, პროგრამით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

ვ) მომსახურების მიღების ნებისმიერ ეტაპზე, სამუშაოს მაძიებლის საჭიროების შესაბამისად, უზრუნველყოს მისი მხარდაჭერით დასაქმების კონსულტანტის მომსახურების მიწოდება.

**2. სააგენტო ვალდებულია, წინამდებარე შეთანხმების გაფორმების შემდეგ:**

ა) მომსახურების მისაღებად, გადასცეს მოსარგებლეს დადგენილი ფორმის მატერიალიზებული ვაუჩერი;

3. სააგენტო არ აგებს პასუხს მატერიალური ან რაიმე სხვა სახის ზიანისთვის, რომელიც პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების პროცესში, ან მასთან დაკავშირებით, შეიძლება მიადგეს მოსარგებლეს და/ან მომსახურების მიმწოდებელს.

### **მუხლი 3. მოსარგებლის უფლებამოსილება**

**1. მოსარგებლე უფლებამოსილია:**

ა) მომსახურების მიღების მიზნით მიმართოს სააგენტოს და მოითხოვოს პროგრამის მოსარგებლედ რეგისტრირება;

ბ) მომსახურების მიღების პერიოდში მიიღოს სუბსიდია, წარმოდგენილი ვაუჩერის საფუძველზე, 50 %-იანი დაფინანსებით, თვეში არაუმეტეს 460 ლარის ოდენობით;

გ) მიმართოს სააგენტოს პოტენციური დასაქმების ადგილების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, სამუშაოს ძიების ქმედითი გზების, დამსაქმებლისათვის საკუთარი თავის წარდგენისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადებისა და დასაქმების მიზნით ეფექტური კომუნიკაციის წარმოების საკითხებზე კონსულტაციის გასავლელად;

დ) მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, მათ შორის, საპატიო მიზეზით მომსახურების მიღების შეწყვეტის შემთხვევაში, წერილობით მიმართოს სააგენტოს მომსახურების მიღების გაგრძელების თხოვნით, თუ პროგრამის დასრულებამდე დარჩენილი პერიოდი საკმარისია ამ მომსახურების დასრულებისათვის;

ე) ნებისმიერ დროს შეწყვიტოს მომსახურების მიღება და/ან სტაჟირების გავლა;

**2. მოსარგებლე ვალდებულია:**

ა) სააგენტოს წარუდგინოს ყველა დოკუმენტი, რომელიც მისი მოსარგებლედ რეგისტრაციისთვის არის აუცილებელი;

ბ) მომსახურების მისაღებად ვაუჩერი პროგრამის მიმწოდებელს წარუდგინოს არაუგვიანეს საანგარიშო თვის 15 რიცხვისა;

გ) გაუფრთხილდეს პროგრამის მიმწოდებლის მფლობელობაში არსებულ ქონებასა და მატერიალურ-ტექნიკურ ფასეულობებს;

დ) მიმწოდებლის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედებისას, აცნობოს სააგენტოს;

ე) საკუთარი სურვილით მომსახურების მიღების შეწყვეტის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს სააგენტოს;

### **მუხლი 4. პროგრამის სხვა პირობები**

1. მითითებული ვადის გასვლის შემდგომ წარდგენილი მატერიალიზებულ ვაუჩერზე მითითებული ვადის გასვლის შემდგომ წარდგენილი ვაუჩერი არ ანაზღაურდება;

2. მოსარგებლე, რომელიც მომსახურების მიღების მიზნით ჩაირიცხება კონკრეტულ მიმწოდებელთან, შესაბამის მომსახურებას იღებს მხოლოდ ამ მიმწოდებლისაგან;

3. მომსახურების მიღების პერიოდში განხორციელებული მეთვალყურეობისა და ინსპექტირების შედეგების საფუძველზე აღმოჩენილი დარღვევების, სამუშაოს მაძიებლისა და მიმწოდებლის მხრიდან

<sup>1</sup> ხანგრძლივი ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება მომსახურების მიღების შეუძლებლობა, ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის გაუარესება და სხვა.

არაკეთილსინდისიერი მოქცევის შემთხვევაში, ასევე დამსაქმებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სააგენტო უფლებამოსილია, შეწყვიტოს სამუშაოს მაძიებლისთვის სუბსიდიის გაცემა.

#### **მუხლი 5. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით, მხარეები ადასტურებენ ვალდებულებას, შეასრულონ პროგრამით და ამ შეთანხმებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
2. პროგრამით გათვალისწინებული სერვისები მოსარგებლისათვის უფასოა;
3. შეთანხმება მოქმედებს პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სრულად მიღების დასრულებამდე, თუ ადგილი არ აქვს თანხმობის პირობების დარღვევას;
4. შეთანხმება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

#### **მხარეთა ხელმოწერები:**

მოსარგებლე -----

სააგენტოს წარმომადგენელი -----